ხბოს ამბავი

ხბოს ამბავი უნდა მოვყვე და თუ ვინმეს ჰგონია რაიმე ბრძნულ აზრებს მოისმენს, სჯობს ახლავე დაახვიოს. ამბავს კი იმიტომ ვყვები, რომ მერე რამე დავწერო და ეკა მასწავლებელს სანაძლეოო მოვუგო. ეკა მას ქართულს გვასწავლის, თან ჩვენი კლასის დამრიგებელია და სწავლის ბოლო დღეს საშინაო დავალება მოგვცა საზაფხულო თავგადასავლები დაგვეწერა. გვითხრა ეს თუ არა, იმ წუთში ვიცოდი არაფრის დამწერი არ ვიყავი. არ ვიცი, როგორ შემეტყო, კლასიდან რომ გავდიოდით, ლუკა, ცოტა ხანს დარჩიო. მერე მეუბნება, აბა შენ იცი, როგორ შეასრულებ დავალებასო. მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ვეცდები-მეთქი, - პირდაპირი უარი მომერიდა. მაშინ შენ სხვა დავალება უნდა მოგცეო. ახლა კიდე სხვა დავალება?! არა, მას, როგორც სხვა მეც ისე-მეთქი. მერე მეუბნება: გინდა დავნაძლევდეთ, თუ ვერ დაწერ, მაშინ გაკვეთილებს არასდროს არ გააცდენ და ყოველდღე მომზადებული მოხვალ, თუ დაწერ, მაშინ მე არ გავაცდენ გაკვეთილებს და საგაკვეთილო პროცესისთვის კარგად მოვემზადებიო, - იცინის.

ისე კარგი ვინმეა ეს ეკა მას, მაგას გაკვეთილის გაცდენა ლამის ქვეყნის ღალატი ჰგონია და თუ ვინმემ გაკვეთილი არ მოამზადა, ამით თითქოს ქვეყანას უცხოელ დამპყრობლებს ვუგდებდეთ კლანჭებში. კარგი-მეთქი, - უკან არასდროს დამიხევია და რაღა ახლა.

ჰოდა რამე უნდა დავწერო, აბა რა ვქნა, ჩემმა მტერმა იარა ყველა დღე სკოლაში, გაკვეთილების მომზადებაზე რომ არაფერი ვთქვა. ამბები კი, იცოცხლე, ბევრი გადამხდა ამ ზაფხულს. მაგრამ მაინც ყველაზე უფრო მთაში გადახდენილი ხბოს ამბავი დამამახსოვრდა.

ჯერ წასვლა. გაგამ დამირეკა, ეკამ მას გეძებდა, მე და შენ ევროპულ ეკობანაკში გვიშვებსო. ანუ ევროპაში-მეთქი, - ვეკითხები. არა აქვე სადღაც მთაშიო. ჩვენ რატომ, სხვები რატომ არა-თქო. ზოგის სად არის, ზოგი სად, ჩვენ ვართ მარტო თურმე ქალაქშიო.

- ეკა ბანაკი რა არის? - ვეკითხები, - ანუ ეკას საკუთარი ბანაკი აქვს?

- ეკა კი არა ეკობანაკი. ეკოლოგიური ანუ ... - მეუბნება და იცინის, იფხრიწება სიცილით, - მერე აგრძელებს, - კარგ დროს გავატარებთ, ლაშქრობები გვექნება, ფეხბურთსაც ვითამაშებთ, მაგარი ადგილი ყოფილა, აქ ხო ქალაქში ცხელა, იქ თურმე თბილი ჩასაცმელები უნდა წავიღოთ, ისე ცივა!

უკვე დამაინტერესა. ფეხბურთი კარგია, თან ზაფხულში როგორ შეიძლება ციოდეს და დავთანხმდი. მეორე დილით ზურგჩანთა სპორტული ტანსაცმელით და ფეხსაცმელებით გადავტენე. სკოლასთან ეკა მას დაგვხვდა. რა კარგია შენც რო მიდიხარო. მერე დაამატა, ბავშვებო, იქ ეკობანაკია, თან ფიზიკის, მათემატიკის და სამოქალაქოს სახალისო გაკვეთილები გექნებათ და თან ისწავლით როგორ მოვუაროთ და გადავარჩინოთ დედამიწა და აბა თქვენ იცით, სკოლა ასახელეთო. კინაღამ გული წამივიდა, ეკა მას, ამ გაგანია სიცხეში გაკვეთილები მინდა? სწავლა და ხალისი ჯერ არ გამიგია, მით უმეტეს ზაფხულში. მერე გაგას ვეჩურჩულები, ახლავე ხომ არ ავითესოთ-მეთქი. გაგამ, ჯერ ვნახოთ, იქნებ და რა ხდება, საზღვარგარეთ ხომ არ მივდივართ, არ მოგვეწონება და უკან დავბრუნდეთო. წავედით.

აი სწორედ იქ მოხდა ამბავი რაზეც მინდა მოვყვე, ხბოს ამბავი ანუ, მაგრამ ეკა მასმა სამი ფურცელი მაინც იყოსო. ხბოს ამბავი, რომ მთავრდებოდა ეკას ეკობანაკი, მაშინ მოხდა. ანუ სხვა რაღაცეებიც უნდა გავიხსენო.

სხვა სკოლების ბავშვებიც დაგვემატნენ. გავცდით ქალაქს, ჯერ ავტობანზე ვიარეთ, მერე სადღაც ავუხვიეთ. ირგვლივ სულ მთები და ამ მთებზე შეფენილი სოფლები ჩანდნენ. ისე მაღლა ვიყავით, ღრუბლები დაბლა, ხევებიდან მოგვსდევდნენ, მაგრამ ვერ გვეწეოდნენ. ისეთი სილამაზე იყო, ადრე ადამი და ევა რომ სამოთხეში იყვნენ, ალბათ ეს არის სამოთხე-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ამას ალბათ

არ დავწერ, იმიტომ რომ ხბოს ამბავი სამოთხეზე არ არის. თურმე მართალს ამბობდა გაგა, ის ღრუბლები, გზაში დადევნებულები, ეტყობა წამოგვეწივნენ და ნისლში მოვხვდით. მარშუტკაში ისე აცივდა, ზამთრის პირს რომ იცის. ჩვენს წინ ფანჯარასთან ვიღაც გოგო იჯდა ბრეტელებიანი მაისურით და ვუყურებდი როგორ კანკალებდა თოვლიან ტოტზე შემომჯდარ ბეღურასავით. ჩანთიდან თბილი ჰუდი ამოვიღე და მივეცი, ჩაიცვი, სულ ახალია-მეთქი. უარი არ უთქვამს. ჩაიცვა. მადლიერმა გამომხედა - გაგახარებს ღმერთიო და დააყოლა, სალი მქვიაო. ჩემი სახელიც ვუთხარი.

მერე ისევ გამოიდარა და ამასობაში მარშუტკა ერთ სამსართულიან, ლამაზ შენობასთან გაჩერდა, რომელსაც რატომღაც შავი სახურავი ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა ეს იყო სასტუმრო, სადაც ვიცხოვრებდით. ის გოგო, სალი, ჩასაცმელს მიბრუნებდა. ვეუბნები, არ მინდა, შენი იყოს, ასეთი კიდე ხუთი მაქვს-მეთქი. ერთი ტყუილი ვის არ უთქვამს. თუმცა მთლად ტყუილიც არ იყო, ასეთი არა, მაგრამ სხვა სხვა თბილი ზედა კი მქონდა. რადგან ასეა, მოვიფიქრებ და მეც რამეს გაჩუქებო. ის ჰუდი კი მერე არც გაუხდია მგონი.

ბიჭები მეორეზე, გოგოები მესამე სართულზე სხვადასხვა ნომრებში გადაგვანაწილეს. მე, რა თქმა უნდა, გაგასთან ერთად მოვხვდი. მანამდე გვითხრეს ჯერ სადილი და მერე შეხვედრა გვექნებაო. საჭმელებს რაც შეეხება, ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთაა და ირგვლივ სოფლებში მოყვანილიო, ანუ დაგვეწყო ეკობანაკი.

სადილის მერე დარბაზში მოვიყარეთ თავი. ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც პაპუნად გაგვეცნო, გვეუბნება: თქვენი ლიდერი ვიქნები, რამე თუ დაგჭირდათ, ყველაფერზე შეგიძლიათ მომმართოთ, ალბათ გითხრეს, რომ ეს ეკობანაკია და დედამიწის პრობლემებზე გვექნება საუბარი, პრეზენტაციები. დედამიწა რომ გადავრჩინოთ უნდა კარგად ვიცოდეთ ფიზიკა, მათემატიკა და უნდა კარგი მოქალაქეები ვიყოთ, ანუ გაკვეთილებიც გვექნება, ოღონდ სახალისო და ნიშნებს არავინ დაგიწერთო. მერე სხვა მასწავლებლები გაგვაცნო. ფიზიკის მასწავლებელი გამოვიდა და ისე გველაპარაკა დედამიწაზე, მისი საცოდაობით კინაღამ ცრემლები გადმოვყარეთ, თან იმდენი ლანძღა ადამიანები, ეჭვიც შემეპარა, რომ თვითონ ადამიანი იყო თუ არა. განსაკუთრებით ის სიტყვები დამამახსოვრდა, იქ სადაც არის ადამიანი, არის ნაგავიც და რაც გზის პირას და ქუჩებში გვხვდება, მარტო ის კი არ არის ნაგავი, ნაგავია წიაღისეული საწვავის დაწვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი, რომელიც სათბური აირის ძირითადი ნაწილია და როგორც ხუფი ისე ახურავს დედამიწასო. ამიტომ იწევს პლანეტის ტემპერატურა და დედამიწა ძალიან ჰგავს ადამიანს და ადამიანის ტემპერატურა ერთი გრადუსითაც რომ გაიზარდოს, როგორ ცუდად გრძნობს თავს. ბოლო ორი საუკუნეა დედამიწის ტემპერატურა თითქმის ორი გრადუსით არის მომატებული და ამიტომ ხდება ხშირად ხანძარი, მეწყერი წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურებებიო.

გაგამ ხელი აწია. რაღაცას სასწაულს რომ იტყოდა ვიცოდი, მაგრამ ვერ მოვასწარი გაჩერება. წამოდგა და მას, თუ სიცხე აქვს დედამიწას პარაცეტამოლი დავალევინოთო. თავიდან რომ ვიფიქრე, დღესვე სახლში გაგვიშვებენ-მეთქი. იმ კაცმა, ყოჩაღ, ზუსტად იმიტომ ვართ აქ რომ ეს გავაკეთოთ ან ვისწავლოთ მაინც დედამიწას როგორ მოვუაროთო. გაგა გაიჯგიმა და ისე გადმომხედა, ვიფიქრე, ამან სამი დღე შეიძლება გამარჯობაც არ მითხრას და სასადილოში ჩემთან ერთად მაგიდასთან ჯდომა არ იკადროს-მეთქი. კაცმა გააგრძელა: აი უბრალო რამ, ჩაის რომ ვადუღებთ, თუ ადუღებისთანავე გამოვრთავთ გამათბობელს, ესეც კი დედამიწაზე ზრუნვაა, ანუ ნაკლები სითბო გადავა გარემოშიო.

მერე ერთი გოგო ადგა და ჩვენს სასტუმრო სახურავი შავი რატოა, არ მომწონსო. კაცს გაეღიმა, სწორედ ეს უნდა მეთქვა, თუ დააკვირდით შენობასთან არსად ბოძები არ დგას რომ დენი შემოვიდეს, ანუ სასტუმრო თავად იკმაყოფილებს ენერგიის საჭიროებას სახურავიდან მზის პანელებითო. ჩვენთან თბილისში ზედა სართულზე ვარ და სახურავიდან წყალი ჩამოდის მხოლოდ მაგრად თუ იწვიმა, აქ დენი როგორ ჩამოდის-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ კითხვა მომერიდა.

თავიდან კი ვიყავით გაქცევაზე, მაგრამ მერე შევეჩიეთ. გუნდებად დაყოფილები სხვადასხვა პრეზენტაციებს ვაკეთებდით და მთავარი თემა იყო როგორ გადაგვერჩინა დედამიწა და აგვეცილებინა გლობალური დათბობა. ჩვენი გუნდიდან სალის დახატული ერთი პლაკატი მახსოვს: დედამიწას თავი ჩრდილოეთ პოლუსთან აქვს წაკრული, თავზე ყინული კი ადევს, მაგრამ ოფლი მაინც ღვარად სდის და გრადუსი აჩვენებს სიცხეს ოცდათვრამეტ გრადუსს. მე ვეუბნებოდი, მივახატოთ გაგა როგორ ალევინებს დედამიწას პარაცეტამოლს-მეთქი. სალი თანახმა იყო, გაგამ თქვა უარი, ჩემს დასახატად საღებავი არ გეყოფათო.

ამ პრეზენტაციებზე გავარკვიე როგორ ჩამოდის სახურავიდან დენი. მზის სხივში ყოფილა ფოტონები, რომელიც ეცემა სახურავზე ნახევარგამტარულ პანელებს, ამოყრიან ელექტრონებს და იქმნება დენი. ისე ძვირი სიამოვნება ყოფილა, მაგრამ ყველა სახურავი, რაც დედამიწაზეა თუ იქნება ასეთი მზის პანელებით, გადარჩება ანუ დედამიწა და იყოს ძვირი. დედამიწის ავადმყოფობა და ის მეწყერი და წყალდიდობა უფრო ძვირი არ გვიჯდება?

სანამ ხბოს ამბავამდე მივალ, გაკვეთილებზეც ხომ არ მოვყვე? ფიზიკამ პირველ გაკვეთილზე სამი ,,ბახმაროს“ წყლის ნახევარლიტრიანით აწყობილი შადრევანი გვაჩვენა, წყალი თავისით ადიოდა ზევით. ეს ჰერონმა გააკეთა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეშიო. ანუ მაშინაც უშვებდნენ ,,ბახმაროს“ წყალს-მეთქი, შეკითხვა დავსვი. კიო, - იყო პასუხი და მასწავლებელმაც ბევრი იცინა და ბავშვებმაც. მერე გვეკითხება, თუ ჰაერს გამოვრიცხავთ, რომელი უფრო სწრაფად ჩამოვარდება ერთი სიმაღლიდან, ერთ ტონიანი ქვა თუ ერთ გრამიანი ბამბაო. ამას ფიზიკა რად უნდა, ვფიქრობ და ეგრევე წამოვიძახე, - ქვა! ფიზიკამ, არისტოტელეც ასე ფიქრობდა, მაგრამ გალილეი არაო. მერე აიღო ორი ერთნაირი პლასტმასის ბოთლი, ოღონდ ერთი სილიანი, მეორე ცარიელი და ორივე ერთი და იმავე სიმაღლიდან ჩამოაგდო. ორივე ერთდროულა დაეცა. ამ კაცისგან მივხვდი რომ ვიღაც არისტოტელე თვალში მაგრად არ მოდიოდა ვიღაც გალილეის - ეტყობა მაგრადაც დააყრიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ოცი საუკუნე აშორებდათ და ჩხუბს კი გადარჩნენ, მაგრამ რაც თქვა არისტოტელემ, გალილეოს წყალში ჩაუყრია ყველაფერი და მერე ცეცხლი წაუკიდებია. ხო, იცოდით? წყლიანი ქაღალდის ჭიქა არ იწვის. რა მიკვირს, რად უნდათ ამდენი რკინის ჭურჭელი სახლში, ქაღალდისგან დაამზადონ ჩაიდნები, ფინჯნები... ერთი ქალაქში რომ დავბრუნდები დედას ვთხოვ კარტოფილი შემიწვას ქაღალდის ტაფაზე. თავიდან ალბათ მკითხავს, შვილო სიცხე ხომ არ გაქვსო და შუბლზე ხელს დამადებს. ისე სისულელეებს ხშირად ვამბობ, ამაში კი დიდი ნიჭი მაქვს. მახსოვს, მაშინ ბუნებას ვსწავლობდით და გაკვეთილად მთვარე გვქონდა. იქ ეწერა, რომ ადამიანები მთვარეზე იყვნენ და ეს ამერიკელებმა მოახერხეს და სხვამ ვერავინო. მაშინ ასეთი აზრი მომივიდა, ძნელი რა არის, მთვარე ხო დედამიწას წრეს არტყამს, ქვემოთ რომ იქნება ჩაუშვათ თოკი და ხო შეიძლება ასე ჩავიდეთ მთვარეზე და თოკიც იქ დავიტოვოთ. ჩვენს მაღლა რომ იქნება მთვარე იმავე თოკს უკან ჩამოვყვეთ-მეთქი. მასწავლებელმა თქვა, შეიძლებაო, ბარონი მიუნჰაუზენიც ასე აკეთებდაო და მაშინ გაგამ დამადო შუბლზე ხელი.

მათემატიკის მასწავლებელი ისეთი ნაზი ქალბატონი იყო და ისეთი ჰარმონიული ხმა ჰქონდა, მისი გაკვეთილი იავნანასავით ჩამესმოდა და გიგა სულ მუჯლუგუნებს მკრავდა არ ჩაგეძინოსო. თუმცა სახალისო ამოცანები ბევრი იყო, მხოლოდ ერთი მახსოვს, მართკუთხა სამკუთხედების კუნძულის ამბავი, რომლებსაც მტრები დაესხა თავს. ეს სამკუთხედები ჰიპოტენუზებით თავს კარგად იგერიებდნენ, თუმცა ცუდი ის იყო, მობრუნებას ვერ ახერხებდნენ. მტერმა მოახერხა და უკან, სუსტი კათეტების მხრიდან დაარტყა. რა უნდა ექნათ სამკუთხედებს თავი გადაერჩინათო? ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამკუთხედებს ნავები ჰქონდათ. ისინი ზღვაში უნდა გასულიყვნენ, კუნძულისთვის შემოევლოთ, მტრისთვის ისევ ჰიპოტენზებით შეეტიათ და ასე გადაერჩინათ კუნძული.

სამოქალაქოს გაკვეთილებზე მასლოუს პირამიდა მომეწონა - მე პირადად აქამდე ხეოფსის პირამიდა ვიცოდი მხოლოდ და ასეთი პირველად გავიგე. ანუ ამ პირამიდის ყველაზე დაბალ საფეხურზე ხარ,

თუ მხოლოდ ჭამ და სვამ, მერე უსაფრთხოებაა, მერე მოდის სიყვარულის მოთხოვნილება, მერე დაფასება და თუ რაიმეს მიაღწიე, სხვასაც უყვარხარ, რეალიზდი ანუ ამ პირამიდის კენწეროში ხარ უკვეო. მე ბარსელონა უფრო მომწონს-მეთქი, წამოვიძახე და ისე გამომხედა მასწავლებელმა მაშინვე მივხვდი - რეალის აზრზე არ იყო რა გუნდია და ბარსა მით უმეტეს. ისეთი ენერგიული ქალი იყო, სულ ვფიქრობდი, ნეტა ბატარეები არასდროს უჯდება-მეთქი. ჩემი ტელეფონი ნახევარი დღე ძლებს მხოლოდ და მერე დასატენია. სალიმ თქვა, ანუ კვარა რადგან ყველას უყვარს, რეალიზებული ადამიანი გამოდისო. კიო, დაეთანხმა მასწავლებელი, ანუ კვარა იცოდა ვინ იყო.

სალიზე ცალკე უნდა ვისაუბრო იმიტომ, კი არა რომ საჩუქარს იყო დაპირებული და სულაც არ ახსოვდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ხბოს ამბავში ის არის გარეული. გარეულიც მთლად ზუსტად არ არის ნათქვამი, მთავარი პერსონაჟია - ხბოს მერე, რა თქმა უნდა. ხოდა სალი როგორი გოგოა იცით, ანუ რომ უყურებ, თვალები არ უნდა დაახამხამო, ისეთი.

ლაშქრობაზეც ვთქვა. ძირითადად იმ ადგილებში დავდიოდით სადაც ადამიანი იყო ნამყოფი და ვასუფთავებდით. პირველი ლაშქრობაა და ფიზიკის მასწავლებელი გვიხსნის, უბრალო პლასტმასის ან მინის ბოთლი, რომელშიც წყალი ან გამჭვირვალე სითხე ასხია, ლუპად შეიძლება იქცეს და ხანძარი გააჩინოს, ახლა ბუნებას რომ ვასუფთავებთ, ამით დედამიწას ვეხმარებითო. ამ დროს გაგა მეუბნება, მგონი სალი მოგწონს, სულ იმას უყურებო. ჩუმად იყავი და იარე რა-მეთქი. ისე მართლა ვუყურებდი სალის, იმიტომ, რომ მეცოდებოდა, შანსი არ იყო არ დასრიალებულიყო. სალი კი სიფრიფანა გოგოა, მაგრამ მისი ბოტასის ძირები პეპელასაც ვერ დაიჭერდა. მე ქაცვებიანი კეტები მეცვა და მშვიდად ვიყავი. მართლაც პირველსავე ფერდობზე დაგორებას გადავარჩინე, იმიტომ რომ გვერდით მივყვებოდი და როგორც კი ფეხი დაუცდა დავიჭირე. შენ გაიხარეო, გამომხედა და ხელი არ გამიშვა რაო. ხოდა რა მექნა, მთელი ლაშქრობა ხელჩაკიდებულები დავდიოდით ბაღის ბავშვებივით. ბეღურასავით მეჭირა მისი ხელი, მაგრამ ბეღურა ეძახე, უნდა ნახო ფეხბურთს როგორ თამაშობს, ისე გმირულად დგას დაცვაში, მაშინ მივხვდი თბილისში ქართლის დედას რატომ აუგეს ძეგლი და არა ქართლის მამას.

ხო, მაგარი რამე უნდაც მოვყვე. ის ენერგიული ქალი სამოქალაქოს მასწავლებელი, ერთ გაკვეთილზე გვეუბნება, ჩვენ ხო ყველა დედამიწის გადარჩენას ვცდილობთ? მოდით, ჯერ ადამიანი გადავარჩინოთ. ვთქვათ თქვენს მეგობარს გადაწყვეტილი აქვს სუიციდი და რას მიწერდითო. წერილების წერა რომ დიდად არ მხიბლავს, ეს უკვე იცით. ხოდა ალბათ ყველაზე დიდი სისულელე მე დავწერე, ორი ხაზი მეყო, თავს თუ მოიკლავ ჩემი ძმა, ოჯახის წევრებს და ძმაკაცებს თვალებში როგორ შეხედავ მერე-მეთქი. სალიმ დიდი წერილი გააშანშალა, მთელი გვერდი იყო თითქმის სავსე, მაგრამ საქმე რაშია, ჭკუას კი არ არიგებდა - ასეო და ისეო, ადამიანების უმრავლესობას რომ სჩვევია, ვითომ ძალიან ჭკვიანები იყვნენ, ღმერთზეც კი. სახალისო ამბებს უყვებოდა: რომ გაითვალისწინა ამ მეგობრის რჩევა და კალათბურთის წრეზე დაიწყო სიარული, თუმცა ვერ გამიგია, სხვის კალათში ბურთს რომ ვაგდებ, მე რატომ მეთვლებაო. ეგ არაფერი, რა მაგარია, გუნდური სულისკვეთება ვიგრძენიო... ეს სიტყვა ,,სულისკვეთება“, მაინც საიდან დააბრეხვა.. მერე ყვებოდა, ჩემმა თუთიყუშმა არ ვიცი საიდან, გინება ისწავლა და მეზობელ ბავშვებს თუ დაინახავს ეზოში ჩხუბობენ, ეს აგინებსო... ერთი ასეთი მოჩხუბარი, სტუმრად მოსულა და მალავდა თურმე, არ აგინოსო და ეს თუთიყუში ეუბნება, სად მალავ, დამანახე ერთი, გადმოვუტრიალო უნდა ყველაფერიო და ბოლოს ასე ამთავრებდა წერილს, კვარა რა მაგარ ფორმაშია და ხვალ პსჟ-ს საკლუბო ჩემპიონატის ფინალი აქვს და არ გინდა ერთად ვუყურეთო.

მასწავლებელმა, ყველას მადლობა გადაგვიხადა, მაგრამ აშკარად შეეტყო ყველაზე უფრო სალის წერილი მოეწონა, თან ბევრი იცინა, დღეს თუ თავს იკლავს ადამიანი, ხვალ კვარას თამაშზე როგორ ეპატიჟები, თან მთავარი რა არის, წერილში არც ერთხელ არ არის ნახსენები, რომ მეგობარი რაიმეს ცუდს აპირებსო.

ხო, ხბოს ამბავამდეც მივედი. კარგად არ მახსოვს, რა გაკვეთილი იყო, სალი სულ ფანჯარაში იყურებოდა. სხვა დროს ასეთი რამ არ შემიმჩნევია. მერე მასწავლებელს გაენთავისუფლა და გარეთ გავიდა. ცოტა ხანში მესიჯი მომდის, ლუკა, გარეთ გამოდიო. სად ხარ-მეთქი. სასტუმროს უკან, მინდორზეო. გავდივარ. ნამტირალევი ეტყობოდა.

- ტირი? რამე მოხდა? ვინმემ გაწყენინა?

- ნახე, ხბო!

- აბა, ხბო!

- მე ნუ მიყურებ აი, იმ ხისკენ მიიხედე!

მის მზერას თვალი გავაყოლ. ვხედავ, ცოტა მოშორებით, კენტად მდგარ ხეზე ხბო აბია.

- ა, ხო... ვხედავ!

- იცი, უნდა დაკლან!

- რატო?

- ბანაკს რომ ხორცი ჰქონდეს! დღეს უყიდიათ!

- შენ საიდან იცი?

- ვიცი, სამზარეულოსთან რომ გავიარე შემთხვევით მოვისმინე. მზარეულებს ხორცი აკლდებათ და ვიღაც ადგილობრივთან უყიდიათ!

ხბო უნდა დაკლან, მე რა შუაში ვარ, ვერ ვხვდები, მაგრამ ამას ხო ვერ ვეტყოდი! ფიქრით მოცული, სერიოზული გამომეტყველება მივიღე და ველოდები, იქნებ თვითონ მითხრას რამე.

- იცი წეღან რა მოხდა?

- რა?

- აი ფერდობზე რომ ძროხებია და ხბოები, ყველა ამ პატარა ხბოსთან მოვიდნენ, სუნავდნენ, ლოკავდნენ და ისე ბღაოდნენ. ეს ხბოც ბღაოდა და მეც ბღავილი დავიწყე.

ახლა მივხვდი თვალები რატომ აქვს ნამტირალევი.

- მერე?

- მერე მწყემსი მოვიდა და გარეკა ის საქონელი. მე მივედი ხბოსთან. არც კი ვიცოდი, შუბლზე პატარა თეთრი გული აქვს - შორიდან არ ჩანს. იცი როგორ ტიროდა, ცრემლები სულ ღვარ-ღვარად მოსდიოდა. რომ მოვეფერე უფრო მოუმატა ცრემლებმა. ალბათ გრძნობს ხო?

- რას გრძნობს?

- კარგი რა, ნუ მათქმევინებ, რატომაც გაყიდეს!

- არ ვიცი, ხბო კი არა ადამიანი ვერ ვხვდები რას გრძნობს!

- ცუდია. ნუ ამბობ ასე, მით უმეტეს, ძალიან კარგად იცი, რომ ეს ასე არ არის!

ხო თითქოს არაფერი, მაგრამ მესიამოვნა.

- ახლა რას აპირებ, რა ვქნათ?

- ხბო უნდა გავადავარჩინოთ!

ამ ეკა თუ ეკობანაკში სულ ვიღაც არის გადასარჩენი, ხან დედამიწა, ხან ადამიანი, ხანაც ხბო... ამას ისე ვფიქრობ, ხამაღლა ხომ არ ვიტყოდი.

- როგორ გადავარჩინოთ?

- პატრონს დავუბრუნოთ!

- პატრონმა ხო გაყიდა?! როგორ გგონია ისევ არ გაყიდის?

- ხო ესეცაა... მაშინ რა ვქნათ?!

- ავუშვათ და იმ საქონლებთან მივდენოთ!

- ის მწყემსი აქაური ხო იქნება? ალბათ ცნობს ვისია ეს ხბო!

- სასტუმროში ავიყვანოთ, ჩემთან ნომერში დავმალოთ, სულაც გაგას ან ჩემს ლოგინში დავაწვენ!

- არა, გამორიცხულია, ყველგან ვიდეოკამარებია - ყველა შენიშნავს! მოდი შიმშილობა გამოვაცხადოთ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მივწეროთ!

კიდევ ეს წერილი. წერილების გარეშე არ შეიძლება-მეთქი? ხო, მართალი ხარ, როდის ისინი წერილებს მიიღებენ ან აღშფოთებას როდის გამოხატავენ, მაშინ მიტინგი მოვაწყოთ და პლაკატები გავაკეთოთო.

ამასობაში გაკვეთილიც დამთავრდა და სადილის წინა შესვენება დაიწყო. სასტუმროში დავბრუნდით და ჯერ ბავშვებს ვუთხარით ხბოს ამბავი. ყველანი გარეთ გამოლაგდნენ. მტირალი ხბო ვანახეთ და ისინიც ვატირეთ. მერე შევედით საპრეზენტაციო ოთახში. იქ ყოველთვისაა მარკერები, და დიდი ზომის ფურცლები. რამდენიმე პლაკატი გავაკეთეთ: ,,თავისუფლება ხბოს“, ,,ვაცხადებთ უვადო შიმშილობას“, ,,ხბოსაც აქვს უფლებები“.

სადილზე არ შევედით. დემონსტრაცია სასტუმროს წინ მოვაწყვეთ. დავიწყეთ ძახილი: ,,ვაცხადებთ უვადო შიმშილობას“... ,,თავისუფლება ხბოს“... ,,თავისუფლება ხბოს“... ხმაურზე პაპუნა გამოვიდა, რა ხდებაო. ჩვენი პლაკატები ნახა, ჯერ იცინა. მოკლედ მოვუყევით რაც ხდებოდა. მერე გვითხრა, აბა ხბო მაჩვენეთო. რომ ვანახეთ, ხბო კიდევ ტიროდა და პაპუნამაც კინაღამ ტირილი დაიწყო.

გამოყავით სამი წარმომადგენელი და ბანაკის ხელმძღვანელობასთან მივიდეთო. გაგა დავიმატეთ. საუბარი მრგვალ მაგიდასთან შედგა. დიდხანს არც გაგრძელებულა. ყოჩაღ ბავშვებო, სასტუმროს ხელმძღვანელობას დაველაპარაკებით და ეს პრობლემა მოგვარდებაო. სასტუმროს მეპატრონეც მალე მოვიდა. პროტესტი არც მას გამოუთქვამს, მით უმეტეს დაუნახავს ჩვენს შეკრებამდე ძროხებმა როგორ მოაწყვეს მიტინგი. ბოლოს ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ: პატრონისთვის დაგვებრუნებინა ხბო. თან ფული უკან არ გამოგვერთვა, მაგრამ ისინი ვალდებული იყვნენ ხბოს ცივი ნიავი არ მიჰკარებოდა. მონიტორინგი განხორციელდებოდა ჩვენს მიერ ყველა ზაფხულს.

მერე მოხდა მთლად სასწაული. ის ოჯახიც, რომელმაც ხბო გაყიდა, ატირებული დაგვხვდა. თურმე ბანაკში აპირებდნენ მოსვლას, რათა ხბო უკან წაეყვანათ და ფულს გვიბრუნებდნენ. ოჯახში ბავშვებს ხბო უძებნიათ და ვერსად რომ ვერ პოულობდნენ, ტირილი დაუწყიათ... ახლაც ტიროდნენ, მაგრამ ახლა უკვე სიხარულით და ხბოს ეფერებოდნენ... დიდი ტირილის დღე გამოვიდა, ყველა ტიროდა - დედამიწაც ალბათ. ფულს არ იტოვებდნენ. ხბოსთვის არ გიტოვებთ, პატარებისთვის გიტოვებთ, ახლა მალე კლასი იწყება და საკლასოდ რამე უყიდეთ ჩვენს სახელად, მარტო ჩვენ არა - მთელი ევროპა, აზია, ამერიკა და მთელი დედამიწა ამას გთხოვთო - ასე ვუთხარით. დედამიწის ხსენებამ გაჭრა ალბათ, საბოლოოდ ფულის ნახევარი დაიტოვეს მაინც. უკან რომ მოვდიოდით, სალი მეუბნება: ლუკა, რა კარგია, რომ ამ ქვეყნად კარგი ადამიანები არიანო. ვინ იგულისხმა არ ვიცი, მე ალბათ ნაკლებად, რადგან თვითონაა კარგი.

ხბოს ამბის შემდეგ ორ დღეში ჩვენი ეკობანაკიც მორჩა. გზაში სხვადასხვა სკოლების ბავშვები ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, რატომღაც ბევრი ტიროდა, ხბოს ამბავი გადაედოთ ალბათ. გული დამწყდა - სალი წინა ღამით წაეყვანათ მშობლებს, ვერც დავემშვიდობე. წასვლის წინ მესიჯი მოეწერა: გარეთ გამოდი, ჩემებს გაგაცნობ, მივდივარო. დილით ვნახე მხოლოდ მონაწერი, ტელეფონი გათიშული ყოფილიყო...

აი ეს იყო ხბოს ამბავი. ხვალ უკვე სკოლა იწყება. ახლა აბა გულწრფელად მითხარით ამის დამწერი ვარ, რაც მოვყევი? არა, რა... გამოდის, წავაგე სანაძლევო - ანუ კლასი არ უნდა გავაცდინო და მომზადებულმა ვიარო გაკვეთილებზე... ვახ, ეს მინდოდა? უცებ მესიჯი მომდის:

- დედამიწა არ ვიცი, ხბო კი გადავარჩინეთ, ხო?

სალი იყო. თან ნაწერს ერთი ღიმილი ახლავს. გაიგე ახალ ვის ეკუთვნის ეს ღიმილი: მე, ხბოს თუ დედამიწას...

- ხო! - ვპასუხობ მე.

- რა სიტყვა უხვი ხარ! და საჩუქარი?! მეც ხო უნდა მეჩუქებინა რამე? ხო, მოვიფიქრე... აი შენ! -

ახლა უკვე გული მოაყოლა ნაწერს. ვისზე ნაკლები ვარ და მეც გულით ვპასუხობ...

ავტორი ლევან ლორია